№ 193 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. შაბათი 30 აგვისტო 1919 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით. კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ოჩემჩირის ახალი ტიპის გიმნაზიისათვის გამოცდილი გამგე.

არსებულ ჯამაგირზე ზევით ქალაქის გამგეობის მიერ მიეცემა 500 მანეთი თვეში. საჭიროა იმავე სასწავლებლისთვის აგრეთვე მასწავლებლებიც. თხოვნებით მიმართეთ განათლების სამინისტროს. ოჩემჩირის ქალაქის გამგეობა. 1178 5—4

სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ:

კვირას 7 ენკენისთვეს დილის 11 საათზე. სიღნაღის ახალი კლუბის დარბაზი, დანიშნულია სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოების (ბანკის) არაჩვეულებრივი საზოგადო კრება, რომელიც განიხილავს შემდეგ კითხვებს:

1. 1919 წ. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
2. ერთი გამგეობის წევრის არჩევა.
3. სხვა და სხვა საკითხები.

თუ ეს კრება ვერ შესდგა, მეორე დანიშნულია კვირას 21 ენკენისთვეს და კანონიერი იქნება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

1535 1—1

გამგეობა.

საავიაციო კვირის მომწყობი კომისიის თავმჯდომარე

აცხადებს, რომ 30 ს აგვისტოს დღის 12 საათზე სასახლეში, დამფუძნებ. კრების თავმჯდომარის კაბინეტში დანიშნულია მთავრობის დაწესებულებათა ორგანიზაციებისა, ფრაქციებისა, საზოგადო დაწესებულებათა, სამინისტროებისა, კავშირებისა და სხვათა წარმომადგენელთა სხდომა **საავიაციო კვირის** პროგრამის შემუშავებისათვის კომისიის ასარჩევათ.

1237 1—1

ოფიციალური განყოფილება

საკოდიფიკაციო განყოფილების დროებითი შტატი.

თანამდებობათა სახელწოდება	რიცხვი.	თითოეულის თვიური	თითოეულის წლიური	ყველა	შენიშვნა
განყოფილების გამგე	1	2500	30000		
მისი თანაშემწე	1	2000	24000		
საქმის მწარმოებელი	1	1500	18000		
მისი თანაშემწე	1	1200	14400		
კორექტორი უფროსი	1	1800	21600		
„ უმცროსი	1	1500	18000		
ექსპედიტორი	1	1200	14400		
მანქანით გადამწერი	1	800	9600		
შიკრიკი (იგივე დამტარებელი)	1	600	7200		
ჯამი	11		157200		
კანცელარიის ხარჯი			30000		
სტამბისა და ქაღალდის ხარჯი			300000		
სულ			487200		

1919 წ. ივლისის 29-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის
უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

ბრძანება

ქალაქ ტფილისის გარნიზონისადმი

25 აგვისტო, 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 232

§ 1.

რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებით მე დანიშნული ვარ ქ. ტფილისის გარნიზონის უფროსად.

§ 2.

ქ. ტფილისის კომენდანტის მოვალეობას ვაკისრებ ტფილისის სადარაჯო ათასეულის დროებით უფროსს მაიორ ფურცელაძეს, რომელიც ეხლავე შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

§ 3.

წინადადება ეძლევა ბ.ბ. ოფიცრებს და სამხედრო უწყების მოხელეთ რომელნიც არ მსახურებენ რესპუბლიკის ჯარებში, შეწყვიტონ სათანადო გასარჩევი ნიშნების ტარება; ჯარში მოსამსახურეთ კი ევალებათ იქონიონ პირადობის მოწმობები ჯარის რეორგანიზაციის შემდეგ შესაფერ უფროსებისაგან მიღებული. ამ მუხლის დამრღვევნი დაკავებულნი იქნებიან. ქალაქის კომენდანტს ვავალებ თვალყური ადევნონ ამ ჩემი ბრძანების შესრულებას.

§ 4.

ვაცხადებ ქ. ტფილისში პირად საქმისათვის მოსულ უცხო სახელმწიფოთა ჯარებში მოსამსახურე ბბ. ოფიცრების და მოხელეთა საყურადღებოთ, რომ სამხედრო სათანადო გასარჩევი ნიშნების ტარება უნებელათ აკრძალულია. სამსახურის საჭიროებისათვის მისიების შემადგენლობაში მყოფნი პირნი და სხვ. ვალდებულნი არიან თავიანთ უფროსებისაგან მოცემულ პირადობის მოწმობების გარდა იქონიონ ჩემ მიერ ხელმოწერილი მოწმობები, ურომლისოდაც ისინი დაკავებული იქნებიან. ეს ბრძანება არ ეხება საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ მოკავშირეთა სახელმწიფოების ჯარების სამხედრო პირთ.

5.

ვაცხადებ ყველა ჯარის ნაწილების და სამხედრო უწყების დაწესებულებების საყურადღებოთ, რომელთაც უკავიათ სახაზინო შენობები ქ. ტფილისში, რომ ნარდათ ამღები (ფოდრიაჩიკი) საკვამლის მწმენდელი ზაქარია ესტატეს ძე პარასკევაშვილი, გადაყენებულია სამსახურიდან ურიგობის გამო. საკვამლეების გასაწმენდათ საჭიროებისამებრ ჯარის ნაწილებმა და სამხედრო უწყების დაწესებულებმა მიმართონ ჯარების სარაიონო ინჟენერების დისტანციისას ახალ ნარდათ ამღებ საკვამლოების მწმენდლის დაქირავებამდე. ქ. ტფილ. გარნიზონის უფროსი სამხედრო მინისტრის თანაშემწე გენერალი **გედევანიშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება

შინაგან საქმეთა სამინისტროში

სახელმწ. დაწესებულებების გადატანა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინა მოხსენება ბორჩალოს მაზრის სახელმწიფო დაწესებულებათა ქ. შულავერიდან ეკატერინოფელდში გადატანის და ეკატერინოფელდის სამაზრო ცენტრათ აღიარების შესახებ. ვინაიდან შულავერი გეოგრაფიულათ არ შეადგენს ბორჩალოს მაზრის ცენტრს, რაც ხელს უშლის მცხოვრებთ, მაზრის ადმინისტრატიულ და სხვა დაწესებულებებთან დამოკიდებულებაში. გარდა ამისა თვით ბორჩალოს მაზრაში შემდგარა სამაზრო ყრილობამ თავის საქმის საწარმოებლად ამოირჩია ეკატერინოფელდი.

ყაჩაღის შეპყრობა.

შინაგან საქმეთა მინისტრს ახალ სენაკიდან ატყობინებს ქალაქის გამგეობის თავმჯდომარე მალანია, რომ გუდაუთში შეუპყრიათ ცნობილი ყაჩაღი კოკი დადიანი.

განთავისუფლება.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით განთავისუფლებულ იქნას სამი თვის ტყვეობის შემდეგ ვასილ პავლეს ძე კობეზევი, რომელსაც ბრალი ედებოდა სიტყვით შეურაცხობა რესპუბლიკის ერთ დაწესებულებისა.

პოლონეთის წარმომადგენელი.

პოლონეთის წარმომადგენლად გაგრის ოლქში დანიშნა ბ-ნი ცესლა სვიხოვსკი.

შრომის სამინისტროში.

უქმე დღეები.

შრომის სამინისტრომ დაუგზავნა ყველა საზოგადო სახელმწიფო დაწესებულებას, მექარხნე-მრეწველთა საბჭოს და პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს, შემცირებულ უქმე დღეთა დეკრეტი, რომელიც დაბეჭდილი იყო ჩვენი გაზეთის № 191 ში.

უქმე დღეების შემცირების გამო.

შრომის კომისარის მოადგილემ ს. ფანცხავამ აცნობა შრომის სამინისტროს მიერ უქმეების შემცირების დეკრეტი ყველა პროფეს. (სულ 29) კავშირებს და პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საქმეს, დეკრეტი თვალსაჩინო ადგილზე უნდა გაიკრას.

საავადმყოფო კასა.

შრომის კომისარის მოადგილემ ს. ფანცხავამ დაავალა „პროლეტარულ ნევსების" პროფეს. კავშირის გამგეობას წარმოუდგინოს ახლო მომავალში მას სია სახელოსნოებისა და მომუშავეთა რიცხვის, რათა გავრცელდეს მათზე საავათმყოფო კასების კანონი.

სახელოსნოების დათვალიერება.

შრომის კომისარის მოადგილემ ს. ფანცხავამ მეტყავეთა კავშირის გამგეობის თანადასწრებით დაათვალიერა შაბათს 23 აგვისტოს ტფილისში არსებულ დაბლების სახელოსნოები: შენიშნა, რომ ადგილობრივი მუშები და კავშირიც არ აქცევს სანიტარულ მხარეს ყურადღებას, არ არის კუბი სასმელი წყლის მადუღებელი. თანაც ეზოში, სადაც საუზმესადილისათვის მუშები ისვენებენ აქცევია ტყავის ნაწური, საიდანაც დგება საშინელი სუნი, არ არსებობს რვა საათის სამუშაო დღე, მუშები განსაკუთრებით თათრები და ნაწილი სომხებისა 11—12 საათს მუშაობენ. შრომის კომისრის მოადგილემ მიაქცია ყურადღება და მოიწვია მუშები ყოველ სახელოსნოში მიუთითა მათ სავნო დეფექტსა და უწმინდურობაზე და დაავალა, რომ დეკრეტი რვა საათის სამუშაო დღისა, მიღება-დათხოვნასა და სხვა, უნდა იქნეს მტკიცედ დაცული ორივე მხარისგან. წინადადება მისცა კავშირს დაიქირაოს მუდმივი მდივანი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მუშათა ორგანიზაციულ საქმეებს.

მებაღე მუშების პირობების შეცვლა.

20 აგვისტოს, შრომის კომისარის მოადგილეს თავმჯდომარეობით შეუდგა მებაღე მუშათა და მოიჯარადრე-მეპატრონეთა რწმუნებულთა სხდომა, რომელზედაც დაესწრო შრომის მინისტრის ამხანაგი გ. პ. ერაძე. განსახილველი იყო: 1) საბჭოს დროებით თავმჯდომარის და მისი ამხანაგის ამორჩევა; 2) 8 საათის სამუშაო დღის შეცვლა განსაკუთრებულ პირობების მიხედვით და 3) პალატის დადგენილების განხილვა.

მებაღეთა კავშირის რწმუნებულთა საბჭოს დროებით თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა გიორგი ნადარეიშვილი, მის თანაშემწედ ენუქიძე დომენტი. საბჭოს დაევალა მოაგვაროს ყოველივე დავა კოლექტიური ხელშეკრულების გარშემო და სხვა ტეხნიკური საკითხები, მეორე საკითხების შესახებ მიღებულ იქნა ორივე მხარისგან შრომის მინისტრის ამხანაგის გ. პ. ერაძის შემდეგი წინადადება. **მებაღეთა დარგის მუშაობა გაიყოს წელიწადში ხამ ხეზონად:** პირველი სეზონი აპრილიდან—სექტემბრის დამლევამდე; მეორე კი ოქტომბრიდან აპრილამდე. აპრილიდან სექტემბრის დამლევამდე მუშები მუშაობდენ ათ საათს შემდეგის წესით: იწყებენ მუშაობა დილის 6 საათიდან 9 საათამდე. 9—10 საათამდის დასვენება საუზმისათვის 10—12 მუშაობა.

12—2 დასვენება სადილისათვის, 2—7 კი მუშაობა. 7 საათზე ყველასათვის შაბაში. მეორე სეზონში პირველ ოქტომბრიდან მარტის დამლევამდე მუშაობენ 7 საათს შემდეგი წესით: იწყებენ მუშაობას დილის 7 საათზე—9 საათამდი—9—10 საათ. საუზმე. 10—12 მუშაობა 12—1 დასვენება, 1—4 საათ. მუშაობა.

სატარიფო პალატის გადაწყვეტილება განიხილა და უცვლელათ მიიღო ორივე მხარემ.

მუნიციპალური ცხოვრება

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობაში.

ქუთაისის ქალ. საბჭო თავის მორიგ სხდომაზე 20 აგვისტოს გაეცნო იურიდიული ფინანსიური დ ტეხნიკური კომისიების 14 აგვისტოს შეერთებული სხდომის დადგენილებას, მოისმინა მოხსენება ხმოსანი კონსტანტინე სულაქველიძის ქუთაისი-წყალტუბო-ხონი-ბომბუასხიდის-სამტრედიის რკინის გზის გაყვანის შესახებ და ერთხმად დაადგინა: ქუთაისის ქალაქის თვითმართველობა შევიდეს ზემო აღნიშნული რკინის გზის საამშენებლო კავშირში ერთ სრულ მესამედ მონაწილეთ.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭომ თავის უკანასკნელ მორიგ სხდომაზე ერთხმად დაადგინა პირველ მოთხოვნილებითი საარსებო საგნებზე ნიხრის, როგორც გადასინჯვა, აგრეთვე ახალის დაწესება დაეკისროს ქალაქის გამგეობას. ნიხრის დასაცველათ და ცხოვრებაში გასატარებლათ საბჭომ დაადგინა: დაარსდეს ქალაქში სავაჭრო მილიცია. სავაჭ. მილიციაში ცხრა კაცი უნდა შევიდეს და ის საერთო წესით უნდა დაექვემდებაროს მილიციის უფროსს სილიბისტრო მაღნარაძეს.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭომ ქუთაისი-ხონი-წყალტუბო-ბომბუასხიდი სამტრედიის რკინის გზის გაყვანის საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ აირჩია: ქალაქის მოურავი დიმიტრი კალანდარაშვილი, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე შალვა სანებლიძე, ხმოსანი ტრიფონ ჯაფარიძე, ალექსანდრე ჯაფარიძე, ს. რობაქიძე, ა. მეფისაშვილი, ვ. ჭილაძე, ლევან ქორქაშვილი, გიორგი ქორქაშვილი და უგულავა.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭომ 20 აგვისტოს დაადგინა: ქალაქის საავადმყოფოს უფროსს ექიმს ხირურგს მოქ. როდზევიჩს დაენიშნოს თვიურად ჯამაგირი 5000 მანეთი, ქალაქის მოურავს დ. ი. კალანდარიშვილს 4000 მან. ქალაქის გამგეობის მთავარ ბუღჰალტერს 2500 მანეთი და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების ბუღხალტერს 2400 მანეთი. ზემოაღნიშნულ პირებს ამ მომატებით ჯამაგირები მიეცემათ ამა წლის გასული თვის 15-ი აპრილიდან.

—

ქუთაისის ქალაქის საბჭო 60-ი ხმოსნისაგან შესდგება. მოქალაქეებმა ახალი საბჭო ამა წლის გასული თვის 5 აპრილს აირჩია. 5 აპრილიდან დღემდე ქუთაისის ქალაქის საბჭოს სულ თორმეტი სხდომა ჰქონდა.—საერთო რიცხვით საბჭოს სხდომებს ესწრებოდა 38 კაცი. საბჭოში ამ ხნის განმავლობაში გაირჩა ექვსი დიდი და ფრიად საყურადღებო საკითხი. 1) ქალაქში საეპიდემიო გადასახადის შემოღება, 2) 8 საათის სამუშაო დღის ცხოვრებაში გასატარებელი წესების დაკანონება, 3) ქალაქის საშემოსავლო წყაროების გადიდება, 4) ქალაქის მოსამსახურეების ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება, 5) საკითხი ქალაქის საჭიროებსათვის 5,000,000 მან. სესხის აღებაზე და 6) ახლო მონაწილეობის მიღება სათანადო ნივთიერი და იურიდიული პასუხისმგებლობით ქუთაისი ხონი-წყალტუბო-ბომბუას-ხიდის-სამტრედიის რკინის გზის გაშენების საქმეებში.

—

ქალაქის გამგეობის, იურიდიული და ფინანსიური კომისიების შეერთებულმა სხდომამ, რომელსაც დაესწრენ ხმოსანი კონს. სულაქველიძე, ივ. პურადაშვილი კ. ჩიკვაიძე, აკაკი პაპავა, გრიგოლ დადიანი და ვარლამ ჭილაძე (ამ სხდომაზე საბჭოს სათეატრო კომისიის წევრები იყო მოწვეული, მარა სამწუხაროთ არც ერთი არ გამოცხადდა) დაადგინეს—ქალაქის თეატრი სეზონის საწარმოებლათ დრამატიულ საზოგადოებას დაეთმოს უფასოთ, ქართული წარმოდგენები სეზონის მიმდინარეობაში განთავისუფლებულ იქნეს ქალაქის სასარგებლო სათეატრო გადასახადიდან, ქალაქის ხარჯზე თეატრს გაუკეთდეს საჭირო რემონტი და ეპატიოს დრამატიულ საზოგადოებას გასული წლის სეზონში ქართული წარმოდგენებიდან მათზე გადარჩენილი ქალაქის სასარგებლო გადასახადი (ნედო იმკები).

—

ქუთაისის ქალაქის საბჭოს კომისიების მუშაობა ამ ბოლო დროს ერთობ მოუდუნდა. ზოგიერთი ხმოსნები სავსებით არ დადიან კომისიებში და ამით საბჭოს მუშაობას საგრძნობლათ აფერხებენ. ასეთი მოვლენა საბჭოს ცხოვრებაში დამაღონებელი და ჩამაფიქრებელია; აუცილებლათ იმ ხმოსნების წინაალმდეგ, რომლებმაც დიადი საზოგადო საქმე თავზე დაიკისრეს და სინამდვილეში არაფერს აკეთებენ ზომები უნდა იქნეს მიღებული.

ხონის ქალაქის საბჭოში.

23 აგვისტოს შესდგა ქალაქის ხმოსანთა მე-17 სხდომა დღიურ წესრიგის განხილვამდე. გამგეობის წევრი ი. რუხაძე აკეთებს მოხსენებას, რომლიდანაც ირკვევა ქალაქში არსებობს უკმაყოფილოთა ჯგუფი, რომელიც სხვა და სხვა პროვოკაციულ ხმებს ავრცელებს ქალაქის საბჭოს წინააღმდეგ.

საბჭომ მოხსენების შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: 1) მოისმინა რა მოხსენება და ხმოსანთა აზრი ამ საგანზედ ქალაქის საბჭო გამოსთქვამს მწუხარებას მომხდარი გამოსვლების შესახებ. 2) დაევალოს გამგეობას სასტიკი თვალყური ადევნოს არა საიმედო პირებს, რომლებიც მავნე და კონტრრევოლიუციონურს აგიტაციას ეწევიან ხალხში და 3) მოხდეს ფართე ინფორმაცია ხმოსნების და პარტიების დახმარებით ჯერ უბნებში და ცალკე კრებაზედ რის შემდეგ განსაკუთრებით მოწვეულ ცენტრში დიდ მიტინგზედ საერთოდ გაფანტულ იქნას საზოგადოების ასეთი გამოსვლის მავნე მნიშვნელოვანი და იქნას შეყენებული სწორს და კანონიერს გზაზე. შემდეგ კრებამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. მამულებზედ შეფასების მიხედვით გადასახადების შემოღება.

2. მთავარ ანგელოზის და მაცხოვრის უბნებში პირველ დაწყებით სკოლების ბინის შეკეთება.

3. საავადმყოფოში ფასების გადიდება და მესამე ფერშლის მოწვევა.

4. ნივთიერი დახმარება პოლიკარპე ხაინდრავას და პორფილე ქათამაძეს.

პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ქალაქის თავი ვ. გარდაკაძე. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი; კამათში მონაწილეობენ ფრაქციის წარმომადგენლები.

კამათის შემდეგ კენჭის ყრით 8—წინააღმდეგ 5-სა საბჭომ დაადგინა: ის მამულები რომლის შეფასება არ აღემატება 2000 მანეთს სრულიად განთავისუფლდეს გადასახადებისაგან, ხოლო 2000 მან. ზედ მეტ ღირებულების მამულებს ქალაქის სასარგებლოთ გადახდეს ღირებულების $^1/_2$%.

მეორე კითხვის შესახებ საბჭომ დაადგინა: გამგეობას ნება ეძლევა 20.000 მანეთი მოახმაროს სკოლის ბინების შეკეთებას.

მესამე საკითხის შესახებ საბჭომ დაადგინა: 24 მარიამობისთვიდან მოსიარულე ავადმყოფთ, რომლებიც საჭიროებენ შეახვევ მასალებში საავადმყოფოს გამგე ექიმის შემოწმებით გადახდეს 15—40 მან. მისდა მიხედვით თუ რა ღირებულობის მასალა დაიხარჯება ავადმყოფის ჭრილობის შეხვევაზედ. მესამე ფერშლის მოწვევის შესახებ საბჭომ დაადგინა გადაეცეს სარევიზიო და საბიუჯეტო კომისიას თუ რამდენად საჭიროებს საავადმყოფო მასში და მომავალ სხდომისათვის მათი აზრი მოხსენდეს საბჭოს.

პოლიკარპე ხაინდრავას როგორც ყოფილ ქალაქის მოსამსახურეს და ამავე დროს უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახს დახმარება მიეცა 800 მანეთი, ხოლო პორფილე ქათამაძეს სურსათით რომლის ღირებულება 195 მანეთამდის.

უცხოეთში

(საქ. დეპ. სააგ.).

აგვისტოს 29.

მოსკოვი, პოლონეთის მთავრობა ლატიშებთან და ლიტველებთან მოლაპარაკებას აწარმოებს ბოლშევიკებთან ბრძოლისთვის მზადების შესახებ. თეთრ-ლატიშთა მთავრობამ მოკავშირეებს სთხოვა სურსათით დაეხმარნენ მას.

უმაღლესმა საბჭომ რუმინიას ულტიმატუმი წარუდგინა, რომელშიც მოითხოვს, რომ შესწყვიტოს უნგრეთში ძარცვა ან და პასუხი უნდა გასცეს თავის ბოროტმოქმედებაზე. რუმინიის მთავრობას ჯერ პასუხი არ გაუცია. პარიზში ფიქრობენ, რომ რუმინელებს უნგრეთში ამერიკის დელეგატები შესცვლიან. მოკავშირეები ფიქრობენ, ევროპის და აზიის ოსმალეთში უცხოელთა ჯარისაგან შეადგინონ პოლიცია, სანამ რაიმე გაყოფა მოხდებოდეს. დომბროვის სამთო რაიონში გაფიცვებთან ერთად მოხდა ძარცვა და არეულობა. გამოცხადდა საალყო წესები.

სამხედრო ცნობა. აგვისტოს 28. დასავლეთის ფრონტი. ლუგის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით სოფლები დაიჭირა. ხელში ჩაიგდო ტყვიის მფრქვეველები და წამოიყვანა ტყვეები. პსკოვის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი. ვოლინის ნოვოგოროდის მიმართულებით მტრის დევნა გრძელდება.

სამხრეთის ფრონტი. კურსკის რაიონში ბრძოლაა აგვისტოს 27 ჩვენ ხელში ჩავიგდეთ 1 ზარბაზანი, 4 ტყვიის მფრქვეველი, ჯავშნიანი ავტომობილი და სხვა სამხედრო მასალა. ჩვენ ბრძოლით პავლოვსკი ავიღეთ. ნოვოხოპერის აღების შემდეგ ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. უსტ მედვედიცის რაიონში ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა მტრის დივიზია დაამარცხა. წამოვიყვანეთ 200 ტყვე შტაბით. დევნა გრძელდება.

აღმოსავლეთის ფრონტი. ურალსკის მიმართ. წითელმა ჯარმა სახარნოვსკოე დაიჭრა. ხელში ჩავიგდეთ 4,500 ტყვია და მრავალი თოფი. ორენბურგის რაონში ჩვენი ჯარი მდ. ილეკზე გადავიდა და შეტევას განაგრძობს. აქტიუბინის მიმართ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ვერხნე-ურალსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 75 ვერსზე ჩვენ მხარეზე ბაშკირთა ცხენოსანი ბრიგადა გადმოვიდა. ქ. ტობოლის მიმართ ჩვენი შეტევა გრძელდება.

მოსკოვი, 28 აგვ. ყაზახთა რაზმს, რომელმაც ტამბოვი დაიჭირა, ამ ჟამად ჩვენ მიერ გარს შემორტყმულია და სცდილობს, ზოგიერთი ცნობით, კოზლოვისკენ, ზოგიერთით—მორშანსკისკენ გამოსვლას. ფასტოვის რაიონში წითელმა ჯარმა პეტლიურას ჯარი დაამარცხა და სდევნის. პოლონელები როვნოსკენ გარბიან. პეტლიურას ჯარში გავრცელებულია ძარცვა-გლეჯა, რბევა და სხვა ბოროტ-მოქმედება, კიევის გამაგრებულ რაიონის საბჭოს წევრმა ლაცისმა სთქვა: „მდგომარეობა ამ ჟამად ისეთია, რომ ქალაქს არავითარი პირდაპირი საფრთხე არ მოელის“.

ფრანგული პრესა.

უმაღლესი საბჭო განაგრძობს ავსტრიის ხელშეკრულების პირობების განხილვას. საბჭომ რუმინიას ახალი ნოტა გაუგზავნა იმის შესახებ, რომ უნგრეთში რუმინელები მაინც განაგრძობენ რეკვიზიციებს.

დღეს იხსნება დეპუტატთა პალატის სხდომები და დაიწყება საზავო ხელშეკრულების განხილვა. ამ საკითხზე ლაპარაკის სურვილი 30 ორატორმა განაცხადა.

ინგლისის ესკადრამ გადასხა დესანტი და ისევ დაიპყრო ოდესა.

მოსკოვი. აგვ. 28. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

ლიონი, აგვის. 27. პრემიერმა ბრატიანომ, გაზ. „ტან“-ის ბუქარესტელ კორესპონდენტს, კითხვაზე თუ როგორი აზრის არის ის რუმინიისადმი საზავო კონფერენციის დამოკიდებულების შესახებ უპასუხა, რომ მას ძლიერ აგვირვებს, რომ მოქმედებას გამოეწვია რაიმე გაუგებრობა, რადგან საზავო კონფერენციის შეხედულება ეთანხმებოდა რუმინიის მთავრობის შეხედულებას. არა თუ მხოლოდ რუმინია, არამედ მთელი ევროპაც დაინტერესებულია უნგრეთში წესრიგის აღდგენის საკითხით. რადგან თუ პროლეტარიატის დიქტატურა გაგრძელებულიყო ბუდაპეშტში, ის გავრცელდებოდა ვენაში და სხვა ქალაქებშიაც.

ხელოვანთა გაგზავნა ევროპაში.

ჩვენ საზოგადოების ფართო წრეებში ხშირად გაიგონებთ საყვედურის ხმას: არა გვყავს კარგი მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მუსიკოსი და სხვა. ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია.

არა გვყავს ესა თუ ის განვითარებული ხელოვანი არა იმიტომ, რომ ჩვენი ხალხის სულიერი ღირებულობა მეტად დაკნინებული იყოს, არამედ იმიტომ რომ ახალგაზდა ნიჭიერ ძალების იმედს და მისწრაფების ჩვენვე სათავეშივე ვკლავთ—არ ვაძლევთ განვითარების გზას. არ ვაძლევთ ფეხის მოსაკიდებელ ნიადაგს. წინ ვეღობებით ჯერ ერთი ჩვენი ნივთიერი ხელმოკლეობით, მეორეთ—ჩვენი ჩვეულებრივი მეტოქობით, ქიშპობით, შურით და შუღლით.

დღეს როდესაც ჩვენი ცხოვრება აღორძინების გზაზე ადგება და განათლება, განვითარებისკენ მიდის, ყოველივე ჩვენი ნაკლულოვანობა უნდა ჩამოვიშოროთ და წარსული შეცდომის გაკვეთილები აღარ განვიმეოროთ.

ჩვენი მთავრობა დღეს ერთ უდიდეს ნაბიჯს სდგამს. ეს გახლავთ ახალგაზდა სტუდენტთა საზღვარ გარედ გაგზავნა სპეციალ სხვა და სხვა ტეხნიკურ დარგის შესასწავლად. მეტად დიდი განზრახვაა ეს. ჩვენი ხალხი ამას სიხარულით უნდა შეხვდეს. მაგრამ ჩვენი ცხოვრების რკალი მარტო მცოდნე ინჟინერ-ტეხნოლოგებით და აგრონომ-ეკონომისტებით არ შემოიხაზება.

ნივთიერი კულტურასთან ერთად საჭიროა სულიერი კულტურის განვითარებაც. ერის ცხოვრება უწინარეს ყოვლისა სულიერი კულტურით ფასდება. რამდენადაც ეს კულტურა მაღლა სდგას, იმოდენად ერის ცხოვრება უმაღლეს საფეხურის განვითარებაზე იდგმება. სულიერი კულტურის განვითარება და განფაქიზება კი ხდება მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვნებით. ხელოვნება კიდევ მოითხოვს დიდ მფარველობას, დიდ სიყვარულს და ღირსეულ შეგნებულ-განვითარებულ მსახურთ.

თუ დღეს ჩვენში ხელოვნება დაბალ საფეხურზე სდგას—ეს იმიტომ რომ მის სათავეში არ სდგანან შესაფერისი ნიჭითა და ცოდნით აღჭურვილნი და ვისაც რაიმე ნიშან-წყალი და უნარი გამოუჩენია იმათ კიდევ განვითარების გზა ჰქონიათ დახშული! და როგორ შევქმნათ თეატრი, მხატვრობა, მუსიკა?

მართალია დღეს ჩვენ უდიდეს ფინანსიურ და ეკონომიური გაჭირვებას განვიცდით, მაგრამ ყოველ ხელ საყრელ და მოხერხებულ დროს უნდა ვეცადოთ სასურველი და დიად სასარგებლო საქმის განხორცილებას. და თუ განზრახულია რომ სამოცი სტუდენტი გაიგზავნოს საზღვარ გარედ ტეხნიკურ ცოდნის შესაძენად, არ უნდა დავივიწყოთ ხელოვნებაც და თუ ოცი არა ათი კაცი მაინც უნდა გაიგზავნოს ამ დარგში.

ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაში ეს ჩვენი დანგრეული, დალუპული თეატრია. ვამბობ, „დალუპული“ რადგან ჩვენ თეატრს დღეს ხელოვნობისა აღარაფერი სცხიარა. და თუ რა დიდ როლს თამაშობს თეატრი ერის აღორძინება განვითარებაში—ეს ყველას მოეხსენება.

არც ერთი დარგი ხელოვნებისა იმდენ სწრთვნა, განვითარებას არ თხოულობს როგორც თეატრი. არც ერთი—იმდენ საშუალებას, სახსარს, ხარჯებს, ატრიბუტებს, ცოდნას, ადამიანს ძარღვებს არ თხოულობს როგორც თეატრი. თეატრს სჭირდება არა მარტო მსახიობი, რეჟისორი, არამედ მხატვრებიც, მუსიკოსებიც, მწერლებიც. „ყველაფერი თეატრისთვის“. აი ლოზუნგი! არ ეყოლება თეატრს ზემო დასახელებული ჭეშმარიტი ძალები—თეატრი ვერ შეიქმნება.

ერთ მიზეზთაგანი ჩვენი თეატრის დაქვეითების ის გახლავთ რომ მას არ ჰყავდა მხატვრები, მუსიკოსები და რაც უფრო საჭიროა მწერლები. (ჩვენ აქ მსახიობთ და რეჟისორთ, როგორც უპირველეს თეატრის სულის ჩამდგმელებს აღარ ვგულისხმოათ).

დიახ, ქართულ თეატრს არ ჰყავდა მწერლობა, არ ჰქონდა თავისი ლიტერატურა,

დრამატურგია—და მსწრაფლ გაჰქრა. (აქაც არ ვგულისხმობთ ვ. აბაშიძე—ვ. მესხიშვილის თეატრს, რომელმაც თავისი როლი შეასრულა და ისტორიას ჩააბარა თავისი სახელი. ჩვენ მხედველობაში გვყავს თანამედროვე თეატრი, რომლის არსებობას ვერა ვხედავთ დღეს). ჩვენში ლექსებს ყველა წერს ეს იმიტომ რომ ლექსის დაწერა ადვილია ამას არც დიდი ცოდნა უნდა. ხოლო პიესას უცოდინარი კაცი კი ვერ დასწერს. დრამატიურგია დაკნინდა „სიძე სიმამრებმა“, და „ფულმა და ხარისხებმა“ და სხვა თავისი დრო მოჭამეს. ვიდრე ამისთანა პიესების ხროვა არ ჩამოშორდება ქართულ სცენას და ახალი განათლებული, განვითარებული მწერლები არ მიუძღვნიან ჩვენ თეატრს შესაფერ პისებს მადამდის თეატრი არ შეიქმნება. ჩვენ გვინდა ჩვენი ჰაუპტმანები, იბსენები, ჩეხოვ-გორკები, თუ ნიჭით არა მომზადებით მაინც. ეს კი მხოლოდ მაშინ როდესაც ღირებულ ახალგაზდა მწერლებს გავესტუმრებთ საზღვარ გარედ ცოდნის შესაძენად. ლიტერატურა ჰქმნის თეატრს და არა თეატრი ლიტერატურას. ჰაუპტმანის და იბსენის პიესებმა შეჰქმნეს ეგრედ წოდებული „სიმბილიკის და სტილიზაციის თეატრი“. ჩეხოვის დრამებმა შეჰქმნეს ნატურალისტიური მოსკოვის სამხატვრო თეატრი. ლიტერატურა, დრამატურგია აძლევს თეატრს იმპულს. მხოლოდ მოძრაობას, დინამიურ ძალას მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი და მუსიკოსი.

ჩვენში როდია ასე.

ეს ხდება იმიტომ რომ არც ერთ დარგში შესაფერისად ზედ მიწევნით მაინც ხელოვანნი არ გვყოლია განვითარებულნი და სპეციალ ცოდნით აღჭურვილნი.

მაშ ჩავყაროთ საძირკველი და დიადი ხელოვნების შენობა დავიწყოთ მძიმე მძიმედ.

დრო მიდის. ცხოვრება წინ გვისწრობს და ჩვენ კი კუს ნაბიჯით დავიარებით.

დროა სილამაზის სხივებმა შემოანათონ. ხელოვნების მრავალ ფეროვნობა უნდა გადიშალოს ჩვენ ლამაზ ქვეყანაში.

ვ. გარრიკი.

მასწავლებელთა კურსები.

(დასასრული.)

მეოცე საუკუნის დასაწყისშიაც იქნა მოწყობილი საზაფხულო კურსები, განურჩევლად მომზადებისა ყველა მასწავლებელთათვის. ჯერ კიდევ, მაშინ სანამ რუსეთის სახალხო განათლების სამინისტრო შეუდგებოდა ხსენებულ კურსების მოწყობას, კიევის წერა-კითხვის საზოგადოებას ხვდა წილად ინიციატორობა ამ დიადი საქმისა. მაგრამ, მას დაბრკოლებანი გადაეღობა წინ. და უმთავრესად ის რომ იმ დროს მასწავლებელთა ერთად შეკრება და უფრო გათვითცნობიერება, მაშინდელ ბიუროკრატიულ რუსეთისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენდა.

ამისთვის საოლქო საბჭომ ჯერ ლექტორთა სია და პროგრამა დაამტკიცა, ამის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვა მოსთხოვა.

მთავრობამ დანიშნა თავის მხრივ წარმომადგენელი და დაავალა მას, რომ კურსებზე „чтобы свободомысліемъ не занимались“-სო. აი როგორი პირობებში ხდებოდა კურსების მოწყობა და აქედან ცხადია თუ რა უნდა გაკეთებულიყო ასეთ კურსებზე.

დარწმუნდა-რა რუსეთის მთავრობა, რომ კურსებს აქვს დიდი დადებითი მხარე, „კეთილი ინება“ და პირველად ნება დართო ასეთ კურსებისა მოსკოვის სამოსწავლო ოლქს. მაგრამ თავისი შინაარსით ეს კურსები ნამდვილ „კაზიონჩინას“ წარმოადგენდა. მოსკოვის ოლქს პირველად მთელ რუსეთში წაბაძა კაზანის სამოსწავლო ოლქმა. მაშინდელი კაზანის სამოსწავლო ოლქის შემადგენლობა ითვლებოდა ლიბერალურად. პროგრამმა კაზანის საზაფხულო მასწავლებელთა კურსების სავსებით განირჩეოდა, ვინემ მოსკოვისა, რამაც მთავრობის თვალში დაბადა ერთნაირი უნდობლობა. კაზანის კურსებზე კითხულობდა ლექციებს აწ უკვე განსვენებული რუსეთის პედაგოგი ტიხომიროვი, რომელიც კრიტიკულ თვალით უყურებდა რუსეთში არსებულ სწავლა-აღზრდის სისტემას. კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მან მაშინდელი „ინოროდცების“ გარუსების პოლიტიკა, რომელიც, ამბობდა ის—ძირს უთხრის რუსეთის საკმარისად მდიდარ პედაგოგიკასო.

შემდეგ წლებში ჩვენ ვხედავთ არა მარტო კაზანში კურსებს, არამედ ყველა საგუბერნიო ქალაქებში კაზანის ოლქში.

გარდა სპეციალურ და საზოგადო განათლების საგნების სწავლებისა, კურსისტებისათვის აწყობდნენ ექსკურსიებს სხვა და სხვა ქალაქებში. პირველი ასეთი ექსკურსია მოაწყო კაზანის ოლქმა მთელ ვოლგის ნაპირებზე მდებარე დაბა-ქალაქებში.

1908 წელს პეტროგრადის ოლქი ამ მხრივ უფრო შორს წავიდა და მოაწყო თავის კურსების მსმენელთათვის გრანდიოზული ექსკურსია ფინეთში, შვეცია-ნორვეგიაში, დანიაში, გერმანია-საფრანგეთში, შვეიცარია-ავსტრიაში და ბულგარეთში.

რასაკვირველია ასეთ ექსკურსიას ექნებოდა მნიშვნელობა, ჯერ ერთი, რომ მასწავლებლები გამოფხიზლდებოდენ, მეორე, პირადად გაეცნობოდენ დასავლეთ ევროპის გეოგრაფიას, ეტნოგრაფიას, კულტურას და სხვას...

კაზანის ოლქს არც კავკასიის სამოსწავლო ოლქი ჩამორჩენია. აქაც პირველ რევოლიუციის შემდეგ დაეტყო ცოტა გამოღვიძება სწავლა-აღზრდის საქმეს. პირველად საზოგადო განათლების კურსები სახალხო მასწავლებელთათვის მოწყობილ იქნა ქუთაისში. იქ კითხულობდენ ყოველივე დარგიდან ლექციებს და თანაც აძლევდენ სანიმუშო გაკვეთილებს.

დაწყებული 1909 წლიდან ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში თითქმის ყოველ წელს იმართებოდა საზაფხულო კურსები, მაგრამ ყველა ასეთი კურსები გრძელდებოდა არა უმეტეს ორ კვირისა. ეს იმით აიხსება, რომ მეტ ხანს კურსების გაგრძელება ვერ შეიძლებოდა არა იმიტომ, რომ დიდ ხარჯს მოითხოვდა ხაზინის მხრივ, არამედ მეტ ხანს მასწავლებელთა ერთად გაჩერება, მთავრობის აზრით, საშიში იყო, ვინაიდან შეკავშირებული და შეგნებული ძალა საშიშროებას წარმოადგენდა.

ასეთ მოკლე ვადიან კურსებზე, იყო სასტიკი თვალ-ყურის დევნება მთავრობის მხრივ. ჯერ სამოსწავლო ოლქს უნდა დაემტკიცებია პროგრამმა და ლექტორთა სია, შემდეგ ადგილობრივ გუბერნატორს თავისი უკანასკნელი სიტყვა უნდა ეთქვა.

ყველა ჩვენში არსებულ საზაფხულო კურსებში შესანიშნავი იყო ქუთაისის დირექციის მიერ მოწყობილი მთელ დირექციისათვის ქ. ხონში 1914 წელს.

ამ კურსებზე გარდა პედაგოგიურ საგნებისა იკითხებოდა ლექციები რუსულ ლიტერატურიდანაც. რუსულ ლიტერატურიდან ლექციების კითხვა მინდობილი ჰქონდა აწ უკვე განსვენებულ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელს ი. გიგინეიშვილს, რომელიც ერთმა რუსიციზმის თაყვანის მცემელმა ინსპექტორმა დააბეზღა მზრუნველთან, როგორც არა საიმედო მასწავლებელი და მავნე სახელმწიფოს მყუდრო ცხოვრებისათვის. აი ასეთი ატმოსფერა სუფევდა მასწავლებელთა კურსებზე.

ბევრი ეგრეთ წოდებული „ცენზიანი მასწავლებელი“ ალმაცერათ უყურებდა ასეთ კურსებს, მაგრამ, ბოლო ხანს, ისინიც დარწმუნდენ—თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ასეთ ყოველწლიურ კურსებს—მასწავლებელთათვის.

დამტკიცებულია ყველასათვის დღეს თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს ასეთ კურსებს, ამისათვის აუცილებელი საჭიროა არა მარტო სახალხო მასწავლებელთათვის—არამედ ყველა ტიპის სკოლების მასწავლებელთათვის ასეთი კურსები, მიუხედავათ იმისა როგორი მომზადებისაც უნდა იყვენ მასწავლებლები.

ნ. გ—ვა.

მილიციაში

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა „ძმ. გევორქოვების“ სავაჭრო სახლის ყოფილი ბუღალტერი პოღოს მანუჩარიანცი რომელსაც ფულათ და ნივთათ 60 ათასი მანეთი გაუტანია სისტემატიურათ „ძ. გეორქოვების“ საწყობიდან. პროფესიონალური კავშირის დადგენილებით ის გამორიცხულია კავშირიდან. მანუჩარიანცი გადაეცა საგამომძიებლო ნაწილს.

—იგივე მილიციამ დააპატიმრა არტემ ივანეს ძე არუთინოვი რომელმაც ტიგრან ტერ-აკოფოვს მოჰპარა ნივთები და ფულათ სულ-181 ათასი მან.

—

სისხლ. სამ. მილიციამ დააპატიმრა ფეოდოსია ანიკეევა, რომელსაც მარიამ იაკობის ასულის ტაუგლიხისთვის მოუპარავს ნივთები ღირებული 50000 მან. მოპარული ნივთები მას გაუყიდია. ნივთები მყიდველს ჩამოერთვა და პატრონს ჩაბარდა.

—

ამავე მილიციამ დააპატიმრა აშხენ პაპიკიანცი, რომელსაც აღმოუჩნდა იტალიელ კაპიტანის ვალენტინ ფრაკას მიერ დაკარგული თეთრეულის ნაწილი. აღმოჩნდა რომ თეთრეული მოუპარავს კონსტანტინე კალუსის, რომელიც ეხლა ბათომში დააპატიმრეს და ნივთებიც ჩამოართვეს.

—

კოჯორის გზაზე ერთმანეთს დაეჯახა ორი ავტომობილი: ერთი საბირჟო № 15 და მეორე ინგლისელთა № 114482. დაშავდა საბირჟო ავტომობილი. საბირჟო მატარებლიდან ყველა მგზავრები გადმოცვივნდა და მსუბუქათ დაშავდენ. მგზავრს ნიკ. მურალაშვილს გული წაუვიდა. ამით ისარგებლა მგზავრმა ერვანდ ოგანოვმა და ამოართვა მას რევოლვერი და ოქროს საათი ჯაჭვით. მურალაშვილი მალე მოვიდა გრძნობაზე და რევოლვერი მოსთხოვა ოგანოვს, რომელიც არ ანებებდა. რევოლვერი გაუვარდა და მსუბუქათ დაიჭრა ავტომობილის № 15 შოფერი კონსტანტინე გოგლაძე და ერვანდ ოგანოვი, მძიმეთ დაიჭრა მუცელში ავტომობილის № 28 შოფერის თანაშემწე, რომელმაც შემთხვევით ჩამოიარა ამ დროს და დასახმარებლათ გადმოვიდა ავტომობილიდან. გარდა ამისა ოგანოვმა წაიღო ავტომობილიდან საბანი, ქუდი, ქამარი და სხ. სისხლ. სამ. მილიციის აგენტმა მაშინვე, დააპატიმრა ოგანოვი, ჩამოართვა საათი ჯაჭვით და გადასცა პატრონს, რევოლვერი კი ოგანოვის განცხადებით დაკარგულია. ოგანოვი სამაზრო კომისარს გადაეცა.

ქართველები ოსმალეთში

(გაგრძელება)

შავშეთიდან წასულნი.

შავშეთიდან—ანუ მთელ შავშეთის სოფლებიდან გადასახლდა ათი ათასი სული, უკანასკნელ ომის დროს, ვიდრე გადასახლების ვადა გათავდებოდა, შემდეგ წლებს, ანუ 1895-1902 წლებამდე სხვა და სხვა დროს ჩუმად გადასახლდა ათასი კომლი, ეს რიცხვი ოფიციალურადაც იყო დასაბუთებული. სამწუხაროდ, რადგანაც აქ ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა დაკარგული აქვთ, ამიტომ მე მათი სოფლები სათითაოდ არ ავღნუსხე. გადმოგვცეს, რომ 800 კომლმა დასტოვა შავშეთში ყოველივე თავისი მოძრავი და უძრავი ქონება და მთლად ოსმალეთში წავიდა. თან მარტო ლოგინი წაიღეს, სახლის ყოველივე ავეჯეულობა კი აქ დასტოვეს ოხრათ.

ეს მათი გადასახლება ისე ჩუმათ მომხდარა, რომ რუსის მთავრობას სულ ვერასფერი შეუტყვია, მაინც რუსის მთავრობის მოხელეებს უხაროდათ კიდეც, რომ ესენი ოსმალეთში სახლდებოდენ, მათს ყოველივე დანატოვარს ესენი ეპატრონებოდენ და მერე მათ სხვა ქართველ მაჰმადიანებზე ჰყიდდენ, ამიტომაც ხშირად ეს დაწყევლილები ქართველ მაჰმადიანებს უსისინებდენ და ოსმალეთისაკენ სულ მათრახით ერეკებოდენ და გზასაც უჩვენებდენ.

ჩემი მგზავრობის დროს შეკრებილმა ცნობებმა მიჩვენეს, რომ შავშეთიდან ოსმალეთში გადასახლებულან ათი ათასი სული ორივე სქესისა, მეტი თუ არა, ნაკლები არა.

შავშეთის ნაწილი იმერხევიდან გადასახლებულან შემდეგ სოფლებიდან. ამათ აღვნუსხავთ, რადგანაც იმერხევის სოფლის ქართველ მაჰმადიანებს ქართული ენა აქვს დაცული. აი ესეც იმერხევის სოფლები ართვინის ოლქში:

გადასახლდნენ შემდეგი კომლნი სოფ. სოხლეურიდან 20, აგარიდან 25, შოლტის ხევიდან 30, წყალსიძეროდან 50, ეს სოფელი მეტად მშვენიერია. წითლუიდან 15, ლიობანიდან 25, იფრხევიდან 15, ივეთიდან 25, უბედან 30, ძიოსიდან 20, ხემწვრილოდან 25, დაბა ძველოდან 20, ბელტიეთიდან 25, ზაქუთოდან 20, ბაძგირეთიდან 30, ლეონიძიდან 10, ჩიხარიდან 20, ცინისხევიდან 15, უსტამისოდან 25, გრილაგარიდან 30, ფრკიურიდან 20, ლავანის ძირიდან 15, ჩაქვალთიდან 15, შავმთიდან 15. ეს სოფელი უნდა იყოს ივანე შავთელისა, 1860 წ. კლდე მოქცეულა და ნახევარი სოფელი მოუსპია. ხარსონა 10, გორგოტიხანა 25. ოქროს წყა 10, ახალი დაბა 10, გარყლუფიდან 20, ჯვარებიდან 15, მიქელეთიდან 20, მახატბოდან 30, წეფლის ძირიდან 20, დევაგულოდან 25.

ეს ცნობები შევკრიბე იმერხევის სოფლებში, ბევრი რამ ცნობები მიამბო სოფ. წყალსაძერის მუხთარმა; სხვა მუხთარებმაც მიამბეს ბევრი რამ ცნობები. იმერხევის ხოჯების და მოლების ცნობები კი ცოტათი განსხვავდება მუხთარებისაგან ნაამბობ ცნობებისგან. გადავალთ ეხლა საერთო ჯამზე.

გადასახლებულთა საერთო რიცხვი.

მოვიყვან ეხლა საერთო ჯამს გადასახლებულთა რიცხვიდან, რაც მიამბო და ცნობებიც გადმომცა ბათუმის მუფთმა ჰასან-ეფენდი გვესლაძემ, გონიერმა ადამიანმა და ქართველების და საქართველოს დიდათ მომხრემ, რომელიც ბათუმში მოკლულ იქმნა ბახტას ბირებისაგან, იხილეთ ამის ცხოვრება ჩვენ დაბეჭდილი პატივცემულის მუფთის ცნობებით: 12000 წავიდა ქობულეთ კინტრიშიდან, 5000 სული წავიდა ბათუმიდან 5000 სული წავიდა კარაბახიდან, 30000 სული წავიდა მაჭახლიდან, 10000 სული წავიდა ქვედა აჭარიდან, 8000 სული წავიდა ზედა აჭარიდან, 25000 სული წავიდა ლივანიდან, მარადიდელნი, ლიმანის ხევი მთლათ დაიცალა, ანუ ჭოროხის ხეობა 8000 სული წავიდა იმერხევიდან, 10000 სული წავიდა მთელის შავშეთიდან, 20000 სული წავიდა არტაანის სოფლებიდან, 25000 სული წავიდა ოლთისის სოფლებიდან, 5000 სული წავიდა ჩხალის ხეობიდან, 4000 სული წავიდა მარტოთ ართვინიდან, 6000 კომ. 5000 სული წავიდა ჩალდირის ხეობიდან, 500 კომ. 10000 სული წავიდა ფოცხოვიდან და მის კუთხის სოფლებიდან, ამ ცნობების შესახებ პატივცემულმა მუფთმა დამარწმუნა. რომ აგი ნამდვილი ცნობები არის, სწორეთ. სჩანს მუფთის ეს ცნობები ანუსხული ქონდა, მუფთი ამ ცნობებს სულ მწუხარებით ლაპარაკობდა და ხშირათ დაატანდა:—„საწყლებმა დაიღუპეს თავიო“.

გადასახლების სხვა და სხვა ცნობები.

1000 სულის გადასახლების შესახებ.

ნაამბობი ქობულეთის ხოჯის ემინ ეფენდი კობალაძის მიერ: ეს ხოჯა მე გავიცანი 1890 წ. არაბული ლოცვები ამან მასწავლა, ამანვე დამაწერინა იგი ქართული ასოებით. ამავე პირმა მიამბო, რომ ქობულეთიდან 1000 კომლი, თუ მოსახლე წავიდა ოსმალეთშიო. მე ეჭვი შემეპარა ვკითხე: ხოჯა 1000 სული, თუ მოსახლე მეთქი? მან მომიგო: სული, კაცი, ქალი, ბაღანა კი არა, არამედ ერთი მოსახლე, ამდენი იყო. ეს ქნა ალი ფაშის ქადაგებამ. მე არავის ავყევი, აქ ქობულეთის ჯამეზე დავჯექი და ყველას იმას ვეუბნებოდი, რომ „მუჰაჯირათ“ ნუ მიხვალთ, მაგრამ გამგონი აღარავინ იყო. ასე რომ თუ 1000 კომლი წავიდა ქობულეთიდან ოსმალეთში, მაშინ ჩვენ ეს 1000 კომლი 40 ათასი სული მაინც უნდა ვიანგარიშოთ, რადგანაც მაშინდელი ქართველ მაჰმადიანთ ოჯახი დიდის რიცხვისაგან შესდგებოდა.

მესხელ ჯავახ. გადასახლება 1729 და 1830 წ.

ბეჭდვითი ცნობები კი არ არის და ახალციხეს ივანე ნათლის მცემლის ქართველ კათოლიკეთ ეკკლესიის არქივში კი ბევრი ცნობები იყო დამთენილი ამის შესახებ, თუ მესხეთ-ჯავახეთში, 1829—1830 წ. სომხები როგორ ჩამოსახლდენ და ან ამ კუთხიდან ქართველ მაჰმადიანები როგორ გადასახლდნენ და ვისი მიზეზებით.

იმ დროინდელ რუსეთის მხედრობის მთავარ სარდლათ იყო დანიშნული ვასილი ოსიფის ძე თავ. ბებუთოვი. საქართველოს სომეხი, ქართველ მეფესაგან გათავადებულნი. ამ მთავარ სარდალთან ნერსეს კათოლიკოზს ადრევე ჰქონდა ლაპარაკი გამართული, რომ დიდი ბედნიერება იქმნება, რომ არზრუმის და ბაიაზეთის სომხები აქ საქართველოში ჩამოსახლდენო. სომხების ყოფნა რუსეთის ხელში

სამოთხე იქნებაო. ამის ფიქრები უკვე ნერსეს კათოლიკოზისათვის გაირკვა და შემუშავდა.

მერე, ამ კითხვებს ნერსეს კათალიკოზს გარდა სომეხთა სხვა და სხვა ეპისკოპოსები ეპატრონებოდენ, 1829 წ. ამ კითხვების მეთაურთაგანი ყოფილა კარაპეტ ეპისკოპოსი და უმთავრესი გარგეკო ვასილი ოსეფის ძე ბებუთოვი, 1827 წ. ომის დაწყების დროს, სომხებმა უკვე შეიტყვეს კარგათ ის გარემოება, რომ მესხეთ-ჯავახეთს რუსეთი უსათუოთ აიღებდა, რაც გინდ ბევრი სისხლი დაღვრილიყოთ ამათ, ეს მაინც შესრულდებოდა, ეს ამბავი სომხებმა კარგათ იცოდნენ.

ამიტომაც ომის დაწყების დროსვე, მესხეთ-ჯავახეთში ამათ გაამრავლეს თვისი მქადაგებელი, რომელთაც ქართველ მაჰმადიანებში დაიწყეს ასეთი ქადაგება, ამ კუთხეებს, ანუ მესხეთ-ჯავახეთს რუსეთი უსათუოთ დაიჭერს და აქ მცხოვრებ მაჰმადიანებსაც სულ გააქრისტიანებენ და გააქართველებენ რადგანაც თქვენ წინეთ ქართველები იყავით და ეხლაც უნდა გაქართველდეთ თქვენაო.

ასეთმა ქადაგებამ ქართველ მაჰმადიანები დიდათ შეაფიქრიანა, იგინი ამაზე ფიქრსა და დარდებს მიეცნენ და მასთან დაიწყეს ლაპარაკი, რომ თუ მართლა ეს ასე მოხდა და რუსებმა აიღეს ეს ადგილები მაშინ ჩვენი აქ დარჩენა შეუძლებელია, ჩვენ უსათუოდ აქიდან უნდა ავიყარნოთ და ოსმალთ გავყვეთ უკანა. სომხებსაც ეს უნდოდათ.

მართლაც მოხდა ისე რომ რუსებმა მესხეთ-ჯავახეთი დაიჭირეს და ამით შესრულდა სომხების თქმულებაც, ამიტომ ქართველ-მაჰმადიანებმაც იწყეს ამხედრება და ოსმალეთში გადასახლების სამზადის მიეცნენ, ამ სამსაზადის სომხის პროპაგანდისტებიც რასაკვირველია ხელს უწყობდენ. ამისთვის სომხები რასაკვირველია ფულებსაც ხარჯავდენ, ამ გვარათ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიანები აიყარნენ და ოსმალოს მთავრობას გაჰყვნენ თან, ოსმალეთში გადასახლდნენ.

ახალციხის ქართველ კათოლიკეთ პატრებში ცნობები იყო დაშთენილი, რომ მესხეთიდან ქართველ-მაჰმადიანთ რიცხვის ოსმალოში გადასახლებულა 15 ათასი სული ორივე სქესისა, ჯავახეთიდან გადასახლებულა 20 ათასი სული, ასე და ამ გვარათ, 1829—1830 წ. მესხეთ-ჯავახეთიდან, ქართველ-მაჰმადიანები გადასახლებულან სულ 35 ათასი სული, იმათი სოფლები, სახლები და ყოველივე უძრავი ქონება დარჩა უპატრონოთ, რასაკვირველია ვაისილ ბებუთოვი დაეპატრონა.

ამათ მაშინათვე აფრინეს კაცები არაქსუსის და ბაიაზეთის სომხებთან და სულ მოკლე დროის განმავლობაში, მესხეთსა და ჯავახეთის სოფლებში ჩამოასახლეს 30 ათასი სომეხი, ეს იყო პირველი მაგალითი სომხეთის ჩამოსახლების მესხეთ-ჯავახეთში. სინამდისინ ამათი ხსენებაც არ ყოფილა აქ, მოსვლისათანავე ეს სომხები კალიასამებრ მოედნენ მთელს მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-მაჰმადიანთ სოფლებს, რომელთა პატრონებიც გადასახლებულნი იყვნენ ოსმალეთში, მათ დაიკავეს ეს სოფლები, სახლები ყოველივე ქართველებისა და იმ დღიდან გახდნენ იგინი მესხეთ-ჯავახეთის პატრონები და ესენი აქ ისე გათამამდნენ, რომ დღეს მესხეთ-ჯავახეთი სომხეთათ მიაჩნიათ და იმასაც კი ფიქრობენ, რომ ახალციხეს ახალი არზრუმი უწოდონ და ახალ-ქალაქს ახალი ბაიაზეთი.

ასე და ამ გვარათ, 1829 წ. მესხელ-ჯავახელთ ქართველთ მაჰმადიანი აყრასა და გადასახლებაში სომხებსაც აქვს დიდი შრომა დახარჯული და პირდაპირ ამათი ცდა იყო, რომ ეს ხალხი აყრილიყო მესხეთ ჯავახეთიდან და ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ. ეს ნატვრა მათ შეუსრულდათ კიდეც, ქართველ მაჰმადიანები აიყარნენ და ოსმალეთში გადასახლდნენ.

განცხადებანი

გაბრიელ კონსტანტინეს ძე გოგოლაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ატესტატი მიღებული ქუთაისის სამეურნეო სასწავლებლიდან 1917 წ. ატესტატი გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

---

1 სექტემბრიდან საუბნო სასურსათო კომიტეტებში დაიწყება ახალი სასურსათო ბარათების მიღება, რომლითაც შაქარს მიიღებენ მხოლოდ ბავშვები რვა წლამდე, სულზე ორი გირვანქას, 12 მ. 50 კ. გირ. სექტემბრის შუა რიცხვებიდან კი დაურიგდებათ ყველა მცხოვრებთ.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება. 1547 1—1

ანასტასია რუსიევა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. 1919 წ. ივლისის 25-ს. № 17298. 1332 1—1

ნავთლუღის რაიონის რკინის გზის უმცროსი მცველი ვლადიმერ თომას ძე გოგლიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა იარაღის, ვინტოვკის ტარების მოწმობა № 104085, რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1224 1—1

ქ. ტფილისის მე-21 უბნის მოსამართლე 1919 წ. აგვისტოს 1-ს დადგენილებით იწვევს გარდაცვალებულ არტემ ყაზარის ძე შახკულოვის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1061 1—1

ქ. ტფილისის მე-8 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ნიკოლოზ მიხეილის ძე ჩიკვაიძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჩიკვაიძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1124 1—1

ტფილ. მილიციის უფროსი აცხადებს, რომ რომან ივანეს ძე ზვოლსკიმ განაცხადა, უვადო პასპორტის დაკარგვა მიცემული ტფილისის პოლიცმეისტრის მიერ 21 აპრილს 1907 წ. № 3782, პოლონეთის პასპორტი 27 დეკემბერს 1918 წ. მიღებული, ოტსტავკის მოწმობა, მეტრიკული მოწმობა და ორი ლომბარდის ბილეთი №№ 495 და 725. მპოვნელი ხსენებულ საბუთებისა მოვალეა წარუდგინოს მილიციის სამმართველოს. 3—2

საკონკურსო სამმართველო ღარიბ მოვალის ხაჩატურ ნიკიტის ძე სირაკანიანცის საქმის შესახებ აცხადებს, რომ 1919 წ. აგვისტოს 30 ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ხაჩატურ ნიკიტის ძე სირაკანიანცის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ორ სახლს, სარიას, ფარეხს, ჰებს გაკეთებულ სახაზინო მიწაზე და ლედნიკს. მამული მდებარეობს ქ. მანგლისში და შეფასებულია 25000 მან., ვაჭრობა მოხდება ქ. ტფილისის მესამე სამომრიგებლო უბანში, ლერმონტოვის ქ. № 23.

აღნიშნული შენობები იყიდება დარღვევით და გადატანით უმიწოდ. 1016 1—1

მიკირტიჩ გრიგოლის ძე კალამკაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი, მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1907 წლ. მაისის 26-ს, № 3631 და სიმტკიცის მოწმობა, აღნიშნული ტფილისის ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში რეესტრი № 821, ახალციხეში მდებარე მამულზე, რომელიც შეიცავს ერთსართულიან სახლს ბაღით და მიწით, ზომით ბაღისმხრივ 6 საჟ., 3 ვერ., სიგრძ. 14 ს. ორ სართულიანი სახლი მიწით, ზომით 8 ს. 5 ვერ. სიგრძ.—14 სარ. 1222 1—1

დაკარგულია ტფილისის ვაჭართა ბანკის 25 აქცია I გამოც. №№ 3630—44, 1768—77, 1918 წ. კუპონებით, დროებითი მოწმობა № 926 მეორე გამოცემის საქციისა, დროებითი მოწმობა № 2333 მესამე გამოცემის სამი აქციისა ისაია სერგის ძე ბალდასაროვის სახელზე, დროებითი მოწმ. № 88 მეორე გამოც. 25 აქც., დროებითი მოწ. № 919 მეორე გამოც. 1 აქციისა ავაკ სერგის ძე ბალდასაროვის სახელზე, დროებითი მოწმ. № 2066 მესამე გამოც. 14 აქც., დროებითი მოწმ. № 2074, მესამე გამოც. 12 აქც., სურენ ისაკის ძე ბალდასაროვის სახელზე. მპოვნელს თხოვენ წარმოარგინოს ისინი ერევნ. მოედ. ერამოვის მაღაზიაში. 1208 3—1

ჯალადი მირზოს ძე არუთინოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 5132, მიღებული შუშის სამაზრო სამმართველოდან 1911 წლ. 27 აგვისტოს. 1221 3—1

დაკარგულია კვიტანცია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა № 82969—100 მან. 1220 3—1

ვლადიმერ ვლადიმერის ძე ლობაჩევსკი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ამონაწერები ნოტარიალურ არქივის სიმტკიცის საქმეთა ნუსხიდან 1901 წ. ივნისის 4-ს და 1909 წ. აგვისტოს 25 ს. 1223 3—1

დაკარგულია კვიტანცია ტფილისის პირველი კერძო ლომბარდისა № 80968—60 მან. 1225 3—1

იოსებ ჩიჩუა აცხადებს, რომ მან დაკარგა რკინის გზის სასურსათო ბარათი № 15663, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1214 3—1

ქ. ტფ. მე 6 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს 1909 წ. მაისის 5-ს გარდაცვალებულის სიმონ გრიგოლის ძე ტერ-სარქისიან შახაზიზიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. თანახმად. 999 3—1

დავკარგე ორი შეშის ვაგონის დუბლიკატი რომელიც გამოგზავნილი იყო 2 ნოემბერს 1918 წელს სადგურ ლანჩხუთიდგან სადგურ ტფილისში დოლიძის სახელზედ ამ №№ 286088. 286089 რომნლიც გაუქმებულათ უნდა ჩაით- 1231 3—1

იოსებ გიორგის ძე დოკმაჯიევი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ტფილისის მილიციის სამმართველოსაგან 10 ივნისს 1919 წ. პასპორტი ჩაითვალოს გაუქმებულად. 1230 3—1

ივანე გიორგის ძე თარხან მოურავი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა გორის გიმნაზიიდან მოცემული 1916 წ. 1 თიბათვეს სიმწიფის მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1229 3—1

ევტიხი ჰანტურია აცხადებს, რომ მას 21 ამ აგვისტოს ახალსენაკის სადგურზე ამოაცალეს ჯიბიდან საფულე, რომელშიც იყო ორი ათას მანეთის ფულის ვექსილები, 3000 მან. ნაღდი ფული, სამი ქართული უნივერსიტეტის ლატარიის ბილეთები, და ორი მისი პირადობის მოწმობა; ერთი იყო მიცემული 1917 წ. ტფილისის ცენტრალურ ფოსტის კანტორის, მეორე რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის, სამმართველოსაგან 1919 წ. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 1226 3—1

დავკარგე ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის კანცელარიიდან მოცემული, დ. აგლაძის სახელობაზე, პირადობის მოწმობა. მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს შემდეგი მისამართით: ვარდისუბნი ქ. № 30 1228 3—1

გულჩინა მენაბდე აცხადებს, რომ დაჰკარგა ატესტატი აღებული 25 აგვისტოს 1916 წელ. № 544 რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1227 3—1

ქ. ტფილისის მე-9 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ რაჟდენ ნიკოლოზის ძე კანკავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კანკავას ქონებაზე სამოქ. კანონთა კრებ. მე-1241 მუხ. თანახმათ. 1156 1—1

ქ. ტფილისის მე-12 სამომრიგებლო, უბნის მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულს სპარსეთის ქვეშევრდომს პარად იგივე პაგრად ლაჩინის ძე პარადოვის იგივე პაგრადოვის მომკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება პაგრადოვის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. თანახმათ. 1919 წ. აგვისტოს 25. 1139 1—1

ტფილისის მეექვსე სამომრიგებლო უბნის მოსამართლე იწვევს 1895 წ. ივნისის 30 გარდაცვალებულის მღვდლის მოვსეს ტერ-სარქისიანის მახაზიზიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მახაზიზიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 998 1—1

მოითხოვეთ და იხმარეთ შეშის მაგიერ ქვა-ნახშირი

ქვა-ნახშირს ორჯელ მეტი სითბო აქვს ვინემ საუკეთესო შეშას, იაფათ ჯდება, იწვება სოველგვარ ქვემო საბერვიან გერმეტიულ ფეჩებში და სამზარეულო პლიტებში. საგრძნობელ ეკონომიას წარმოადგენს კერძო ოჯახებისათვის, ხოლო განსაკუთრებულს სასწავლებლებისათვის, სასტუმროებისათვის, რესტორანებისათვის და სხვა და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებისათვის. აგრეთვე გვაქვს სამჭედლოებისათვის **ხაგანგებით დამზადებული ნახშირი და დიდძალი კირი**, საუკეთესო ხარისხის და ხელმისაწვდომ ფასებში. საწყობები გვაქვს ბათუმში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, გორში, ტფილისში, ერევანში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. დაკვეთა შეიძლება დიდ პარტიობით და წვრილ-წვრილადაც. ყოველგვარ ცნობების და შეკითხვის მისამართი: ტფილისში, გრიბოედოვის ქ. № 6. ტელ. № 11—45. საწყობი ქვა-ნახშირისა: დიდუბე, ფოთის ქუჩა, ქალაქის შეშის საწყობის ეზოში.
15—9 1140 ტყიბულის ქვანახშირის გამსაღებელი **მთავარი ხააგენტო.**

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ,

თანახმად სანიტარული გადასახადის მოკრეფის წესების მე 11 მუხლისა, რომ მან დაამტკიცა ზემოხსენებული გადასახადის განაწილება შემდეგ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა შორის: სამხატვროების, თამბაქოს ქარხნების, მკალავების, სანთლის მაღაზიების, ჩამომსხმელ სახელოსნოების, ყაზაზების, ბამბით მოვაჭრეთ, კავკასიური მაღაზიის, ღვინის საწყობების, სპირტისა და კონიაკის საწყობების, ნავთის საწყობების, გირავნობის კასებისა და ლომბარდების, ავტომობილების სახელოსნოების და გარაჟების, სასტუმროების, გილზის ქარხნების, თესლეულობით სავაჭროების, კალათების და „ჩემოდნების" სახელოსნოების, სათამაშოების მაღაზიების, მექათმეების, ცირკების, ბოთლების საწყობების, მეყინულეების, ავეჯეულობის ქარხნების, ბზით მოვაჭრეების, ფარნის სახელოსნოების, ლიმონადის ქარხნების, სადგურების და თეატრების ბუფეტების, სამხედრო სამკაულთა, სახელოსნოების, ლუდის ქარხნების, საბილიარდოების, ქოლგების გამკეთებლების, თივით მოვაჭრეების, წყალსადენის სახელოსნოების, აგურხანების, სანთლის ქარხნების, ტანისამოსის მაღაზიების, შეშის საწყობების, პროექტორების, დაბაღების, კამფეტების ქარხნების, ჭურჭლის მაღაზიების, აფთიაქების, კლუბების, საკატლეტოების, სასადილოების, მწვანილეულობით მოვაჭრეთა და გრამოფონების მაღაზიების.

ზემოხსენებულ დაწესებულებათა პატრონებს, წესდების მე 12 მუხლის ძალით, შეუძლიანთ დღიდან დამტკიცების, ე. ი. 27 აგვისტოდან ერთი კვირის განმავლობაში შემოიტანონ განაწილებაზედ საჩივარი, საბჭოს სახელზედ.

შეწერილი გადასახის რაოდენობის შეტყობა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. ქალაქის გამგეობაში, გადასახადთა ბიუროში. 1541 2—2

საქართველოს მთავრობის სტამბა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე